№2540 2015 წლის 27 ნოემბერი ქ. თბილისი

„სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ინფორმაციის მოწონების თაობაზე

1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ი“ და „კ“ ქვეპუნქტების, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 6^2 მუხლისა და „სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და სარგებლობაში გადაცემის საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 10 დეკემბრის №328 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მოწონებულ იქნეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ინფორმაცია ქალაქ ზუგდიდში, აღმაშენებლის ქუჩა №87-ში მდებარე 4811 კვ.მ არასასოფლო-

სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №43.31.67.225), ასევე ქალაქ ზუგდიდში, აღმაშენებლის ქუჩა №87-ში მდებარე 204 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა №1-ის (განაშენიანების ფართი – 192 კვ.მ) (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №43.36.03.139) ელექტრონული აუქციონის ფორმით, პირობებით პრივატიზების თაობაზე.

2. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, ამ განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული ქონების პირობებიანი აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, საპრივატიზებო პირობების უზრუნველყოფის მიზნით, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებამდე წარსადგენი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის თანხა განისაზღვროს განსახორციელებელი საინვესტიციო თანხის 5%-ის ოდენობით.

3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ განახორციელოს ამ განკარგულების შესრულებისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**